C ჰეპატიტის სკრინინგის ეფექტურობის შეფასება საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში.

მაგისტრანტი: თამარ შავდათუაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე, ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მირზიკაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი,2025

განაცხადი

,,როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების დაცვით“

მაგისტრი: თამარ შავდათუაშვილი

11.03.2025

აბსტრაქტი

C ჰეპატიტი წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინფექციურ დაავადებას, რომელიც გლობალური მასშტაბით საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სერიოზულ გამოწვევად რჩება. მისი ქრონიკული მიმდინარეობა და ხშირად უსიმპტომო კლინიკური სურათი მნიშვნელოვნად ართულებს დაავადების დროულ გამოვლენასა და მართვას. სწორედ ამიტომ, დაავადების პრევენცია, ადრეული დიაგნოსტიკა და მკურნალობა თითოეული ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის პრიორიტეტული მიმართულებაა.

მოცემული კვლევა მიზნად ისახავს საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში C ჰეპატიტის სკრინინგის პროგრამის ეფექტურობის შეფასებას. ანალიზის ფარგლებში განიხილება სკრინინგის მაჩვენებლები, დიაგნოსტიკური და სამკურნალო სერვისების ხელმისაწვდომობა, ინფექციის გავრცელების დონე და ის სტრატეგიები, რომლებიც გამოიყენება ინფიცირებული პირების იდენტიფიცირებისა და მკურნალობის პროცესში. ასევე, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსახლეობის ცნობიერების დონესა და ინფორმირებულობის კამპანიების როლს სკრინინგის წარმატებაში. კვლევა იკვლევს იმ ძირითად ბარიერებს, რომლებიც ხელს უშლის სკრინინგის პროცესის ეფექტიანად განხორციელებას. აღნიშნული ბარიერები მოიცავს როგორც ფინანსური და ადამიანური რესურსების დეფიციტს, ისე რეგიონებში სერვისებზე წვდომის შეფერხებასა და ინფორმაციის ნაკლებობას. აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში დიაგნოზის მიღების შემდეგ პაციენტები მკურნალობას აღარ აგრძელებენ, რაც ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება პროგრამის წარმატებისთვის. შესაბამისად, კვლევაში წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავს სკრინინგისა და მკურნალობის პროცესის გაუმჯობესებას. მათ შორის არის ციფრული მართვის სისტემების გაძლიერება, სამიზნე ჯგუფებზე მორგებული საინფორმაციო კამპანიების გატარება, რეგიონულ დონეზე ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის განვითარება და სოციალური მხარდაჭერის მექანიზმების დანერგვა. დასასრულს, კვლევის შედეგები ქმნის საფუძველს

სამომავლო რეფორმებისთვის, რომლებიც ხელს შეუწყობს C ჰეპატიტის ელიმინაციის ეროვნულ სტრატეგიასთან თავსებად, უფრო ეფექტიან და მდგრად მიდგომათა განხორციელებას.

Abstract

Hepatitis C remains one of the most significant infectious diseases worldwide, posing a serious public health challenge. Its chronic course and frequently asymptomatic nature greatly hinder timely detection and effective management. Consequently, prevention, early diagnosis, and treatment of hepatitis C are essential priorities for every national healthcare system.

This study aims to evaluate the effectiveness of the hepatitis C screening program within Georgia's healthcare system. The analysis explores key aspects such as screening coverage, access to diagnostic and treatment services, the prevalence of the infection, and the strategies applied for identifying and managing infected individuals. Special attention is given to the population's awareness levels and the role of public health campaigns in supporting successful screening outcomes.

The research examines the major barriers that limit the effectiveness of the screening process. These challenges include shortages in financial and human resources, unequal access to healthcare services across regions, and lack of sufficient public information. Notably, in many cases, individuals do not proceed with treatment even after receiving a diagnosis—this discontinuity remains a central challenge to the program's success. Accordingly, the study presents recommendations aimed at improving both the screening and treatment processes. These include strengthening digital management systems, implementing targeted awareness campaigns, enhancing healthcare infrastructure at the regional level, and introducing social support mechanisms.

In conclusion, the findings of this research provide a strong foundation for future reforms that support the effective and sustainable implementation of Georgia's national hepatitis C elimination strategy.